ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № ნას/17/04/12

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის „27“ აპრილს ქ. თბილისში

შემსყიდველი: შპს „საქაერონავიგაცია“,
დირექტორის **გიორგი ედიშერაშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0198, ტელ. 274-42-12.
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „რესპუბლიკა“ ბანკი კოდი 220101757; ა.ა 005467067 ს.კ. 208144051.

მიმწოდებელი -	შპს „თეგეტა მოტორსი“, საიდენტიფიკაციო კოდი 202177205;
მისამართი, ტელეფონი -	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №5
აღმასრულებელი დირექტორი	გიორგი მშვილდაძე;
საბანკო რეკვიზიტები -	სს „თი-ბი-სი“ ბანკი TBCBGE22, ა/ა GE80TB0600000024467853

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქვემოთ მითითებული დიზელის ზეთის ფილტრების შესყიდვა.

დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**მთლიანი ფასი**
დიზელის ზეთის ფილტრი FO-316S (Hengst H97W05)	10 ცალი	12 ლარი	120 ლარი
დიზელის ზეთის ფილტრი H19W08 (Hengst H1908)	4 ცალი	20 ლარი	80 ლარი
		სულ: 200 ლარი დღგ-ს გათვალისწინებით	

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტი. გამარტივებული შესყიდვა.
1.3. CVP კოდი - 42913300.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 200 (ორასი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს (მათ შორის დღგ-ს).

3. მიწოდების წესი და ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა უზრუნველყოფს ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 5 (კალენდარული დღის

ვადაში, მისამართზე: ქ. თბილისი, 0198, აეროპორტი, შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ ადმინისტრაციული შენობა.
3.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების მომენტში. ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს: თ. ლონდარიძე (ფეშტუ-ს ინჟინერი).
3.3. საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას:
4.1.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობების შესაბამისად.
4.1.2. საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ყველა დეფექტი, აღმოჩენილი საქონლის მიწოდების დროს.
4.1.3. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
4.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას:
4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
4.2.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე შემდეგ შემთხვევებში:
4.2.3 არ მიიღოს საქონელი, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.
4.2.4. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
4.2.5. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო საქონლის საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
6.2. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012წლის 31 დეკემბრამდე.
10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.3. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 3 დღით ადრე.
10.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგემპლარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველის მხრიდან	**მიმწოდებლის მხრიდან**
შპს „საქაერონავიგაციის" დირექტორი	**შპს „თეგეტა მოტორსის" აღმ. დირექტორი**
გიორგი ედიშერაშვილი	**გიორგი მშვენიერაძე**